ქიმანტიკორი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბტონო თამარ,

სააგენტოს 2022 წლის 21 ივნისის 21/2764 წერილის პასუხად, რომელიც ეხებოდა შპს „ქიმანტიკორის'' (ს/კ 202065308) მიერ სააგენტოში წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არსებულ შენიშვნებს, გაცნობებთ, ჩვენს მიერ გასწორებული იქნა ყველა შენიშვნა და ხარვეზი, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

აქვე გაცნობებთ, რომ შპს „ქიმანტიკორი''-ს საქმიანობა ამ ეტაპზე არ წარმოადგენს ახლად დაწყებულ საქმიანობას იმდენად, რამდენადაც ის რეგისტრირებულია 1999 წლის 06 აგვისტოსN(რეგისტრაციის ნომერი 2/4-2123) და რეგისტრაციის დღიდან მის საქმიანობას წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ანდეზიტის ქვის გადამუშავება, რომელსაც საწარმო მოიპოვებდა (დღესაც მოიპოვებს) ანდეზიტის საბადოდან, თანახმად არსებული ლიცენზიებისა.

ცნობილია, რომ ზემოთხსენებულ საწარმოში გადამუშავებული მასალა ყოფილ საბჭოთა კავშირში წლების მანძილზე საუკეთესო მყავაგამძლე ანდეზიტად მიაჩნდათ, საწარმო წელიწადში 52 ათას ტონა ნედლეულს აწარმოებდა და 100-ზე მეტ ქვეყანაში გაჰქონდათ. რაც შეეხება ბუხებრივი ქვის-ასდეზიტი, საბადოს მარაგს, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 5 მილიონ კუბურ მეტრს აღწევს.

2012 წელს საწარმოს შეუჩერდა ექსპლოატაცია. საწარმოს გაჩერების შემდეგ ადგილზე ამორტიზაცია გახიცადა როგორც დანადგარებმა ასევე თვითონ ქარხანამ. 2021 წლის შემოდგომაზე შპს „ქიმანტიკორმა'', რომელიც აწარმოებდა ზემოთხსენებულ საქმიანობას, კვლავ გააგრძელა საწარმოს ფუნქციონირება. გამომდინარე აქედან აუცილებელი გახდა ძველი აგრეგატების დემონტაჟი და მათი ახლებით ჩანაცვლება.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის, მე-4 ნაწილის შესაბამისად განმეორებით (ხელახალად) წარმოგიდგენთ საწარმოს სკრინინგის ანგარიშს სკრინინგის პროცედურის გასავლელად.

პატივისცემით,
გივი გრამატოპულოვ
შპს „ქიმანტიკორი''-ს დირექტორი

202065308
04.07.2022

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„07" 07 2022
№ 3003

შპს ქიმანტიკორი ს/კ 202065308 ტელ: 551080013
ელ. ფოსტა: qimantikori@gmail.com მის: დაბა ბაკურიანი, სოფელი ანდეზიტი